განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონზე

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავების მიზანია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში ,,გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე” კონვენციით (CITES) განსაზღვრული საკითხების ასახვა. საქართველო აღნიშნული კონვენციის მხარეა 1996 წლიდან. კონვენცია წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო, თუმცა არა თვით-აღსრულებად მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებას. შესაბამისად, კონვენციის მხარე ქვეყნები ვალდებულნი არიან მიიღონ კონვენციის ეფექტური აღსრულებისათვის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა.

ზოგადად, კონვენციის მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში უდიდესია. სხვადასხვა მიზეზების გამო ველური ფაუნისა და ფლორის ობიექტებზე გაზრდილი მოთხოვნილებიდან გამომდინარე მრავალ სახეობას დაემუქრა გადაშენების საფრთხე, ხოლო მრავალი სახეობა უახლოეს მომავალში დადგება ამ საფრთხის წინაშე თუ არ მოხდება ასეთი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება. სწორედ ეს გახდა კონვენციის მიღების მიზეზი 1973 წელს, თუმცა წლიდან წლამდე კონვენცია უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ბოლო რამდენიმე წელია კონვენციის მხარეთა მიერ განხორციელებული ლეგალური ტრანზაქციების რაოდენობა მილიონს ასცდა. თითოეული ტრანზაქცია კი უმეტესწილად ერთზე მეტ ინდივიდს მოიცავს. დიდია არალეგალური ვაჭრობის მოცულობაც. ივარაუდება, რომ ველური ბუნების ობიექტებით არალეგალური ვაჭრობა მასშტაბით მსოფლიოში

მეოთხეა ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით ვაჭრობის შემდეგ. სხვადასხვა გათვლების თანახმად, მსოფლიოში ყოველწლიურად 4-20 მილიარდი დოლარის[1] ღირებულების არალეგალურ ვაჭრობასთან გვაქვს საქმე. მაგალითისათვის ყოველწლიურად დაახლოებით 17 000 სპილოს კლავენ არალეგალურად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში არალეგალური ექსპორტის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებზე ტრანზიტის გზით. ეს იმ პირობებში, როდესაც აფრიკული სპილოს პოპულაცია დაახლოებით 450 000 ინდივიდია, თვითგანახლების უნარი კი გაცილებით დაბალია. ყოველივე ამის გამო საერთაშორისო თანამშრომლობას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. მნიშვნელობიდან გამომდინარე, ველური ბუნების ობიექტებით ვაჭრობის საკითხები ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებშიც (SDGs), კერძოდ კი მე-14 და მე15 მიზნებში.

კონვენციის მხარეთა კონფერენციის რეზოლუცია 8.4 ეროვნული კანონმდებლობის შესახებ მოუწოდებს მხარეებს მიიღონ კონვენციის ეფექტური დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები. იმავე რეზოლუციის თანახმად კონვენციის სამდივნო ახდენს იმ ქვეყნების იდენტიფიცირებას, რომელთაც არ აქვთ დამაყოფილებული კონვენციის ეფექტური აღსრულებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნები. კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე სამდივნო მიაკუთვნებს ქვეყანას შესაბამის კატეგორიას. ამ ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობა მიეკუთვნება მე-2 კატეგორიას, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.

კონვენციის მხარეთა მე-17 კონფერენციის 17.58 გადაწყვეტილების თანახმად მე-2 და მე-3 კატეგორიაში მყოფი ქვეყნები ვალდებულნი არიან რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ არაუგვიანეს კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 70-ე შეხვედრამდე (2018 წლის 1-5 ოქტომბერი) სამდივნოს წარუდგინონ ინფორმაცია კანონმდებლობაში

[1] UNEP Report, THE ENVIRONMENTAL CRIME CRISIS
UNODC Report, World Wildlife Crime Report

განხორციელებული ცვლილებების შესახებ პირველ კატეგორიაში (კანონმდებლობა სრულად ასახავს კონვენციის მოთხოვნებს) გადასვლის მიზნით. მხარეთა მე-17 კონფერენციის 17.62 გადაწყვეტილების თანახმად, მუდმივმოქმედი კომიტეტი, მის 70-ე შეხვედრაზე უფლებამოსილია გაატაროს სანქციები იმ მხარეთა მიმართ, რომელთაც არ ექნებათ შესრულებული 17.58 გადაწყვეტილების მოთხოვნები. სანქციები შესაძლოა გამოიხატოს ქვეყნისათვის კონვენციის დანართებში შეტანილი ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის (იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი, ზღვიდან ინტროდუქცია) აკრძალვის სახით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თანახმად საქართველო ვალდებულია ეფექტურად დანერგოს მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომელთა მხარესაც წარმოადგენს, მათ შორის არის ,,გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე" კონვენცია (CITES). გარდა ამისა, საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ბიოლოგიური რესუსების მდგრადი მოხმარების პრინციპებზე დაყრდნობით მოპოვებული პროდუქტებით ვაჭრობას. კონვენციის ერთერთი ძირითადი პრინციპი კი ეყრდნობა სწორედ მდგრადი მოპოვებას.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიღების მიზანია ველური ბუნების ობიექტებით არალეგალური ვაჭრობის შესახებ გაეროს 2015 და 2017 წლების რეზოლუციებით განსაზღვრულ ვალდებულებების დანერგვა.

ამჟამად, ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება მხოლოდ CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესი და პირობები, ასევე კომერციული მიზნებით ზოგიერთი სახეობის ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება მთავრობის დადგენილებებით. თუმცა არსებული რეგულაციები სრულად ვერ ასახავს კონვენციის მოთხოვნებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონის პროექტის მიზანია ,,გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე" 1973 წლის 3 მარტის ვაშინგტონის კონვენციით (CITES) (შემდგომში - კონვენცია) განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა ეროვნულ დონეზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 23 მუხლისაგან. კანონი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს „წითელი ნუსხისა " და „წითელი წიგნის " შედგენის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში (შემდგომში – საქართველოს „წითელი ნუსხისა " და „ წითელი წიგნის " სფერო), აგრეთვე გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებითა და ველური მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საკითხებს, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში რეგულირდება „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ " (CITES) 1973 წლის 3 მარტის ვაშინგტონის კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) საფუძველზე. ამ კანონის მე-2-მე-4 მუხლები და **VIII**[1] კარი აწესრიგებს. კანონის სხვა მუხლები ვრცელდება კონვენციის დანართებში შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების დაცვის და გამოყენების საკითხებზე თუ კი ის იმავდროულად არ არის საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა.

კანონპროექტი ადგენს კონვენციის დანერგვაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს და მის უფლება-მოვალეობებს. კანონპროექტი განსაზღვრავს ,,გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის და ზღვიდან ინტროდუქციის,

ასევე ასეთი ნიმუშებით ქვეყნის ტერიტორიაზე ვაჭრობის პირობებს. კანონპროექტი ადგენს საერთაშორისო ვაჭრობის გამონაკლის შემთხვევებს.

კანონპროექტი ადგენს ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვების და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის წესებსა და პირობებს, ასევე ადგენს სანებართვო მოწმობის გამოყენების წესს. განისაზღვრება რეტროსპექტიული ნებართვს გაცემის პირობები. დგინდება ნებართვის მფლობელების ვალდებულებები.

კანონპროექტით დგინდება კონვენციის მეორე დანართში შეტანილი მცენარეებით კომერციული მიზნით ექსპორტისათვის მოპოვების საკითხები. კანონპროექტის თანახმად საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო ორგანო განსაზღვრავს კონვენციის II და III დანართებში შეტანილ სახეობათა ნიმუშების წლიურ საექსპორტო კვოტას, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. აღსანიშნავია, რომ საექსპორტო კვოტა კონვენციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად დგინდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევის შედეგების საფუძველზე ისეთი ოდენობით, რაც ზიანის მომტანი არ იქნება საექსპორტო სახეობისათვის.

კანონპროექტი ადგენს სამეცნიერო ორგანოს შექმნის საფუძველს და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებებს.

კანონპროექტით განისაზღვრება კონფისკირებული ნიმუშების განთავსების პირობები.

განისაზღვრება პასუხისმგებლობის საკითხები კანონპროექტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტით ხდება კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობებით ვაჭრობის კუთხით დაწესებული რეგულაციების დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმების რანჟირება ნიმუშების ჯგუფების მიხედვით, რათა სანქციების დაკისრება კანონმდებლობის დარღვევისათვის მოხდეს დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი ასახავს

ველური ბუნების ობიექტებით არალეგალური ვაჭრობის შესახებ გაეროს 2015 და 2017 წლების რეზოლუციებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი ადგენს კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევაში შესაბამისი ნებართვის ქონის ვალდებულებას. გარდა ამისა, კანონპროექტი ადგენს ,,ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (**CITES**) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიას თეთრყვავილას ბოლქვებისა და ყოჩივარდას გორგლების კომერციული მიზნით ექსპორტისათვის მოპოვებისათვის აუცილებელ პირობად.

კანონპროექტით განსაზღვრული ნებართვისა და ლიცენზიის სახე უკვე დადგენილია ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად. გარდა ამისა, „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #18 დადგენილებით. ხოლო ,,ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და ,,გადაშენების

საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (**CITES**) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საკითხები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #21 დადგენილებით. სანებართვო და სალიცენზიო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მოსაკრებლები მითითებული ნებართვისა და ლიცენზიისათვის.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, დაინტერესებულ პირთა/ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე, ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 60-100 „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა. სამინისტროს მიერ 2008 წელს ასევე გაცემული იქნა სამი 10 წლიანი ლიცენზია თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების მიზნით, რომელთა მოქმედების ვადაც ამოიწურა მიმდინარე წლის ივნისში. 2007 წლიდან დღემდე გაცემული იყო 2 ლიცენზია ყოჩივარდას გორგლების მოპოვების მიზნით, რომელთაგან ერთი დღეისთვისაც მოქმედია. კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად არ ხდება ნებართვასთან და ლიცენზიასთან დაკავშირებით სიახლის შემოტანა, არამედ ხდება მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული რეგულაციების კანონში გადმოტანა.

კანონპროექტით ასევე დგინდება ექსპორტის ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის/სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების საქართველოში იმპორტის დროს. აღნიშნული რეგულაცია წარმოადგენს კონვენციის ძირითად მოთხოვნას და კონვენციის საფუძველზე, ასეთი ნიმუშების საქართველოში იმპორტის შემთხვევაში იმპორტიორებს საქართველოში კონვენციის ძალაში შესვლის დღიდანვე

მოეთხოვებათ შესაბამისი ნებართვის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ვალდებულია კანონმდებლობაში ასახოს კონვენციით გათვალისწინებული რეგულაციები. ვინაიდან არ იცვლება ფაქტიურად არსებული მდგომარეობა, კანონპროექტის მიღებას ვერ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ასევე იმ პირებზე, რომლებიც ახდენენ კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას.

კანონპროექტით ასევე განსაზღვრულია წარმოშობის და ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების სერტიფიკატების გაცემის საკითხები კონვენციის მესამე დანართში შეტანილი სახეობების ექსპორტისათვის, როგორც ეს კონვენციით არის დადგენილი. თუმცა ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული საფასურის დაწესება ასეთი მომსახურებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე არ ყოფილა ასეთი ნიმუშების საქართველოდან ექსპორტის შემთხვევა. მომავალში ასეთი შემთხვევების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლოა განხილული იქნას საფასურის დაწესების საკითხი. ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ასეთი ნიმუშების საქართველოში იმპორტს, ამ ეტაპზეც ვალდებულები არიან იქონიონ აღნიშნული დოკუმენტები, როგორც ეს კონვენციით არის დადგენილი. შესაბამისად, კანონპროექტის მიღება ვერ მოახდენს საბიუჯეტო შემოსავლებზე ან დაინტერესებულ პირებზე გავლენას.

კანონპროექტით დგინდება თეთრყვავილას და ყოჩივარდას ხელოვნურად მოშენების ნაკვეთებიდან მოპოვებული რესურსის ექსპორტის მიზნით და ხიზილალას ექსპორტის მიზნით ნებართვების გაცემის წესი. აღნიშნული საკითხები დღეისათვის განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #18 დადგენილებით და უცვლელად არის ასახული კანონპროექტში. 2012 წლიდან ხდება თეთრყვავილას ხელოვნურად მოშენების ნაკვეთების რეგისტრაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ და ყოველწლიურად გაიცემა ნებართვები თეთრყვავილას ხელოვნურად მოშენებული ბოლქვების ექსპორტის მიზნით. ასევე დადგენილების შესაბამისად დარეგისტრირებულია ხიზილალას ხელოვნურად მოშენების საწარმოები

და მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ექსპორტის ნებართვები. შესაბამისად კანონპროექტის მიღება გავლენას ვერ მოახდენს საბიუჯეტო სახსრებზე.

კანონპროექტით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არ მოითხოვება კონვენციით დადგენილი ნებართვების წარდგენა. გამონაკლისი შემთხვევები დადგენილია კონვენციის მხარეთა კონფერენციის მიერ მიღებული სხვადასხვა რეზოლუციებით და უცვლელად არის გადმოტანილი კანონპროექტში. ვინაიდან აღნიშნული გამონაკლისების გათვალისწინება კონვენციის საფუძველზე უკვე ხდება ქვეყანაში, შესაბამისად კანონპროექტში მათი ასახვა ასევე ვერ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტით გათვალისწინებული ნებართვების მოქმედების ვადა დადგენილია კონვენციისა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის #18 დადგენილებით და უცვლელად არის გადმოტანილი კანონპროექტში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

დღეისათვის მოქმედი 66^4 მუხლით განსაზღვრულია ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით ნებისმიერი ტიპის ნიმუშის არალეგალური იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციისათვის. მუხლი ძალაში შევიდა 2016 წელს.

66^4 მუხლის შემოთავაზებული ვერსიით იზრდება ჯარიმის ოდენობა კონვენციის I და II დანართებში შეტანილი ცოცხალი ცხოველებისა და მცენარეებისათვის, სპილოს ძვლის და მარტორქის ნიმუშებისათვის. ჯარიმის ოდენობა მცირდება II დანართში შეტანილი უხერხემლოების ცოცხალი ინდივიდების, II დანართის ნაწილებისა და დერივატების, ასევე III დანართის ნიმუშებისათვის.

2015 წლის მონაცემების თანახმად გამოვლენილი იყო II დანართის ცოცხალი ცხოველების - 4, უხერხემლოების - 1 და ნაწილების - 3 შემთხვევა. 2016 წელს გამოვლენილი იქნა II დანართის ცოცხალი ცხოველების - 1, უხერხემლოების - 1, ნაწილების - 7 და დერივატების - 1 შემთხვევა. 2017 წელს გამოვლენილი იქნა II დანართის ცოცხალი ცხოველების - 3, ნაწილების - 7 და დერივატების - 1 შემთხვევა.

2018 წელს გამოვლენილი იქნა I დანართის ცოცხალი მცენარეების - 1, II დანართის ცოცხალი ცხოველების - 1, ნაწილების - 2 და დერივატების - 2 შემთხვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჯარიმების რანჟირება სავარაუდოდ შეამცირებს ჯარიმების სახით შემოსულ შემოსავლებს არალეგალური იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევებისათვის.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ კანონის პროექტში წარმოდგენილი ცვლილებების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66[4] მუხლის შემოთავაზებული ვერსიით დაჯარიმებას ექვემდებარება დანიშნულების ქვეყნისადმი გაცემული შესაბამისი დოკუმენტების ქონის გარეშე ნიმუშების ტრანზიტიც, რაც ამ ეტაპზე არ კონტროლდება. არალეგალური ტრანზიტის მიზეზით დაკისრებული ჯარიმების ოდენობამ შესაძლოა შეავსოს ის დანაკლისი, რაც გამოწვეული იქნება გარკვეულ ნიმუშებზე ჯარიმების შემცირებით. არალეგალური ტრანზიტის მიზეზით დაკისრებულმა ჯარიმებმა შესაძლოა გაზარდონ ბიუჯეტის შემოსავლები.

ასევე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად საკმაოდ რთულია განისაზღვროს რომელი სახეობის ნიმუშების არალეგალური გადაადგილების გამოვლენა მოხდება მომავალში, ასევე შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ შემთხვევაში გამოიყენებს სასჯელის სახით ჯარიმას სასამართლო. 2017 წლის ფაქტიური ინფორმაციით 2000 ლარი ჯარიმის სახით სანქცია გამოყენებული იქნა მხოლოდ 2 შემთხვევაზე, რაც მოიცავდა II დანართის ცოცხალი სახეობების იმპორტს. სხვა შემთხვევებში გამოყენებული იქნა სიტყვიერი შენიშვნა. ინფორმაცია 2016 და 2018 წლებში დაკისრებული ჯარიმის შესახებ არ არის ცნობილი.

ცვლილებების შედეგად სწორდება ჩანაწერი საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების ნიმუშებთან დაკავშირებით. კონვენციის თანახმად, რეგულირებას ექვემდებარება დანართებში შეტანილი ყველა სახეობა, მიუხედავად იმისა შეტანილია თუ არა ეს სახეობები კონვენციის მხარე ქვეყნების ეროვნულ წითელ ნუსხებში.

აღნიშნულმა ცვლილებამ შესაძლოა გაზარდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ასეთი დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66[4] მუხლის თანახმად ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას. ხოლო ნებართვის გამცემის მიერ განმეორებით დადგენილ ვადაში სანებართვო პირობების შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სამმაგი ან ცხრამაგი ჯარიმების დაკისრება პრაქტიკაში არ მომხდარა.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა შესაძლებელია გამოიწვიოს არალეგალური შემთხვევების რაოდენობის ზრდამ ან კანონაღსრულების გაუმჯობესებამ.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების პროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხარჯების ზრდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დღემდე საქართველოში არ გამოვლენილა ორგანიზებული დაჯგუფების მიერ კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების არალეგალური იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევა.

კანონპროექტის მიღებამ არ უნდა გამოიწვიოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის ხარჯვითი ნაწილის ზრდა, ვინაიდან წარმოდგენილი რეგულაციების აღსრულება მოქმედი კანონმდებლობით თუ კონვენციის საფუძველზე უკვე ხორციელდება. ხარჯვითი ნაწილის ზრდა შესაძლოა გამოიწვიოს არალეგალური შემთხვევების რაოდენობის ზრდამ ან კანონაღსრულების გაუმჯობესებამ.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს არ უჩნდება დამატებითი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის თანახმად ის პირები, რომლებიც განახორციელებენ კონვენციის დანართებში შეტანილი ცხოველთა სახეობების ტყვეობაში გამრავლებული ინდივიდების ექსპორტს, ვალდებულნი იქნებიან მარკირება გაუკეთონ ასეთ ინდივიდებს. აღნიშნული მოთხოვნა ამ ეტაპზეც სავალდებულოა კონვენციის რეზოლუციების თანახმად. შესაბამისად კანონპროექტის მიღება ვერ გააუარესებს მათ პირობებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების მიღება გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც მოახდენენ კონვენციის რეგულირების ქვემდებარე ნიმუშების არალეგალურ ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას. უფრო კონკრეტულად კი იმ შემთხვევებში, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმების გაზრდილი ოდენობა.

გარდა ამისა, კანონპროექტით გათვალისწინებულია სანქციების დაკისრება არალეგალური ტრანზიტის შემთხვევაშიც. შესაბამისად, კანონდამრღვევი პირები ვალდებულნი ხდებიან გადაიხადონ კანონპროექტით დადგენილი ჯარიმები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი და გელა სამხარაული

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი და გელა სამხარაული